№ 223

ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 223

ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული დასი გამართავს საიუბილეო ბენეფისს სუფლიორის **ნ. გალუსტოვისას.**

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

### საშინელი შურის-ძიება

ფარსი 4 მოქმედებად, თარგმანი ნ. გალუსტოვისა.

დასასრულ

### დივერტისმენტი

და

### ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გარგარელისა გარელისა, რიონელი, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 27 ოქტომბრის კრებაზედ ქალაქის საბჭომ აირჩია შემდეგი კომისიის წევრები: აღმასრულებელი კომისიისა, რომელსაც ცხენის რკინის გზების მეთვალყურეობა აქვს მინდობილი. არჩეულ იქმნენ: სულხანიშვილი (42 თეთრი და 12 შავი), შაჰაზიზოვი (37—17), ტერ-ასატუროვი (39—15), მელიქ-ნუბაროვი (36—18), ბ. ვესელოვზოროვი (43—11), გრიქუროვი (36—18) და ნ. ი. თამამშევი (32—22); და აღმასრულებელივე კომისიისა, რომელმაც პურის და ხორცის ნიხრი უნდა დააწესოს. არჩეულ იქმნენ: ე. მ. აკოფოვი (47—7), ვეტცელი (45—9) და ელიაზაროვი (44—10).

*** ტფილისის საეპარქიო საბჭომ 17 ოქტომბერს დაადგინა, რომ ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლად. ეს დადგენილება დამტკიცებულია მისის ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მიერ.

*** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ტფილისში დააარსოს სამი ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა. ამ სკოლებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა უკვე აღნიშნულია მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან მორიგებისამებრ დაადგინა მიეცეთ ხოლმე საჭირო თანხა სესხად ხაზინიდგან სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად ერევნისა და განჯის გუბერნიებისა და ამიერ-კავკასიის სხვა სასოფლო საზოგადოებათ.

*** გაზ. „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ებოძათ მთავარმართებლის საგანგებო საქმეთა მოხელეებს უგან. თავ. გრუზინსკის—ნადვორნი სოვეტნიკობა, თავ. მუხრან-ბატონს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა და სიღნაღის მაზრის უფროს შანშიევს—ნადვორნი სოვეტნიკობა და ზუგდიდის მაზრის უფროსს კეგამოვს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

*** ქართველ ქალებს კვირას კრება ჰქონდათ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, სადაც მოილაპარაკეს, თუ როგორ ეშველოს იმ გარემოებას, რომ მთავრობისაგან ალეგრის გამართვა აკრძალულია და ალეგრის შემოსავალი კი უმთავრესი წყარო იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვისაო.“ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: რადგან ალეგრის გამართვა არ შეიძლება ახალის განკარგულებით, გავმართოთ ეგრედ წოდებული „ბაზარი“ (საჯარო ვაჭრობა ბაღში სეირნობით და გასართობებით) და ყველამ უნდა ვიმეცადინოთ, რაც შეიძლება მეტი ხელ-საქმობა და ნივთები მივაწოდოთ იმ კომიტეტს, რომელიც ამ საქმისთვის იქნება არჩეულიო. ბოლოს ამოირჩიეს წევრები კომიტეტისა, რომელსაც დაავალეს ამ საქმისათვის შესაფერის პროგრამის შემუშავება და ახლო ხანში ხელმეორედ შეკრება საზოგადოებისა. („ცნ. ფურ.“)

*** გუშინ წინ, 27 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. საღამოს რვა საათიდგან დაწყებული 12 საათამდე საბჭომ მხოლოდ ოთხის კომისიის წევრების ამორჩევა და ერთად-ერთი საგნის განხილვა ძლივს მოასწრო. ეს საგანიც არ დაათავა და შემდეგის კრებისათვის გადასდო. დანარჩენი დრო საბჭომ უთავბოლო ლაპარაკსა და კამათს ანაცვალა. საკვირველია, ღმერთმანი, საქმენი ჩვენის ქალაქის პატრონთა. ამ უკანასკნელ კრებებზედ თითქმის ყველა ხმოსნები იმას გაიძახოდნენ, რომ ძალიან ცოტა საქმეს ვაკეთებთ, ბევრს ვლაპარაკობთ უსარგებლოდ და დროა ამას ბოლო მოუღოთო. ამავე დროს კი იგივე ხმოსნები თუ არ უმატებენ ლაპარაკსა და წარა მარა კამათს, არ უკლებენ. ეჰ რას იზამ, ნამდვილი ყოფილა ჩვენი ქართული ანდაზა, „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო.“ მართლაცა, სწორე რომ სთქვას კაცმა, ძნელია ასე ერთბაშად გადაეჩვიოს კაცი ერთხელვე შესისხლ-ხორცებულ ჩვეულებას; ჩვენი ქალაქის ხმოსნებს-კი ლაპარაკისა, ერთმანეთში დაუსრულებელის და უსარგებლო კამათის მეტი საბჭოში იმ თავითვე არაფერი გაუკეთებიათ და აბა ეხლა, ესე ერთბაშათ, როგორ შეიძლება მოვთხოვოთ იმათ დამჯდარი მჯელობა და რაიმე განსახილველი საქმის ყოველ მხრივ აწონ-დაწონაც.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ცნობილი ყაჩაღი ალაი-ბეგ-მურსაყულოვი, რადგანაც პოლიციამ სასტიკად დაუწყო დევნა, სპარსეთში გაიქცა და იქ არხეინად სცხოვრობსო. თან მას აუარებელი ფული წაუღია. წარსულს ზაფხულს მას 66 ათას მანეთზედ მეტი შეუძენია ყაჩაღობით და უეჭველია ნახევარს თავისთვის იღებდაო. ამბობენ, რომ მურსაყულოვს პროგიმნაზია გაუთავებიაო. ამ რამდენისამე წლის წინად მას ერთი ახალგაზდა ქალი, მაჰმადიანი, შეჰყვარებია, რომლის შერთვასაც აპირებდა თურმე, მაგრამ გარემოება შეიცვალა და ის ქალი მურსაყულოვის ბიძაშვილს შეურთავს. მაშინ მურსაყულოვს ფიცი დაუდვია, რომ უეჭველად გავანადგურებ ჩემის მოწინაამდეგის ოჯახსაო. მართლაც, დიდი ხანი არ გასულა, რომ თავისი ბიძა და ბიძაშვილი მოუკლავს. შემდეგ შეუდგენია ყაჩაღთა დასი, ტყეში გავარდნილა და ხალხის ძარცვა-გლეჯა დაუწყია. როდესაც მურსაყულოვი სპარსეთში მიდიოდა, სთქვა თურმე, რომ როცა ყველაფერი დაწყნარდება და ტყეები ფოთლით შეიმოსება, ხელ-ახლად დავბრუნდები ამიერ-კავკასიაშიაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ოზურ-

## ფელეტონი

—

**სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

სამეურნეო სასწავლებლები.

სასწავლებლების უმრავლესობას კიევის გამოფენაზედ შეადგენს სამეურნეო სასწავლებლები, რომელთა შორის პირველობა ყველაფრით ეკუთვნის უმანის სასწავლებელს. საზოგადოდ ამ ჟამად რუსეთში სასოფლო-სამეურნეო განათლება-სწავლის საქმე წარმატებაშია, დიდს ყურადღებას აქცევენ. განსაკუთრებით სამეურნეო სწავლამ იხეირა მიწად-მოქმედების სამინისტროს დაარსების შემდეგ, რომელმაც საქმე საზოგადოდ საკეთილდღეოდ მოაწყო (წარსულთან შედარებით). რუსეთში დღეს-დღეობით მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ხელქვეით არის სულ 108 სასწავლებელი. მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს 5003. ამათ შორის 4 კავკასიის სამეურნეო სასწავლებელია. ასეთი სასწავლებლები უფრო სამხრეთ-რუსეთშია გავრცელებული. აქ თითო გუბერნიაში 6 სასწავლებელია. ორი უმაღლესი სასწავლებელი სამეურნეო და თერთმეტი საშუალო არის სულ, დანარჩენები დაბალი სასწავლებლებია. უმაღლესი—მოსკოვის ინსტიტუტი და ნიკიტის საიმპერატორო ბაღთან გამართული მეღვინეობის უმაღლესი კურსებია, საშუალო—უმანისა, ხერსონისა და სხვ. საშუალო სასწალებლების პირველ კლასში იღებენ გამოუცდელად სამაზრო, სამოქალაქო ან სასოფლო ორ-კლასიან სასწავლებლებში სწავლა-მიღებულს ახალგაზდებს.

გამოფენაზედ ნიმუშები წარმოუდგენიათ მხოლოდ ორს საშუალო სასწავლებელს: უმანის სამეურნეო სასწავლებელს და ბესსარაბიის მეღვინეობის სასწავლებელს.

პირველი სასწავლებელი, უკვე გადაკეთებული, არსებობს 1868 წლ. წინად ოდესაში იყო. ეხლა კიევის გუბერნიაშია, ქ. უმანის მახლობლად. სასწავლებლის შესანახად ყოველ წლივ სახელმწიფო ხაზინა იძლევა 55.734 მანეთს. მოსიარულე მოსწავლეებს ახდევინებენ—20 მანეთს, თავიანთ ხარჯზე აყვანილთ—150 მან. სასწავლებელს სულ 25 სახელმწიფო სტიპენდია აქვს. სასწავლებელი განიყოფება ექვს კლასად, უკანასკნელ განყოფილების მოსწავლენი, ხუთის თვის გარდა, სხვა დროს ნამდვილ პრაქტიკას ანდომებენ. ზაფხულში ყველა მოსწავლეები ვარჯიშობას პრაქტიკულ მუშაობას ანდომებენ, ზამთარში-კი თეორიულად მეცადინეობს. სამეურნეო სასწავლებელში ასწავლიან შემდეგს საგნებს: რუსულს, გერმანულს, სამღვთო რჯულს, ფიზიკას, არითმეტიკას, მეტეოროლოგიას, ქიმიას, სასოფლო-სამეურნეო ტეხნოლოგიას, მინერალოგიას, კოსმოგრაფიას, სამეურნეო მრეწველობის განხილვას, ბალოსნობას, ცხოველთა ანატომია-ფიზიოლოგიას, მიწის სამუშაო იარაღებისა და მანქანების ხმარებას, მიწათ-მოქმედებას, ტყის და ყვავილების გაშენებას და სხვ. უმანიის სასწავლებელს აქვს ადგილი 75 დესეტინა პრაქტიკულ მეოჯახობისთვის: სახნავ სათესი 45 დესეტინა, სათიბი —16 დესეტინა, ბოტანიკური სანერგე—2 დეს.; ტყე—72 დესეტ., სატყეო სანერგე—$1^1/_2$ დეს. საბაღოსნო მეოჯახობა და იმასთანავეა ყვავილნარი, ხეხილეის შესანიშნავი სანერგე, ვენახი, ბოსტანი, საბაღოსნო ტეხნიკური წარმოება და სხვ. ფერმაში ამრავლებენ მსხვილ-ფეხა პირუტყვებს, ღორებს, ცხვრებს და ქათმებს. ამავე სასწავლებელთან არის შესანიშნავი და ცნობილი „ცარიცინის ბაღი“ (სოფიევკა), სადაც მრავალზედ-უმრავლესი სხვა-და სხვა მცენარეა, შადრევნები, დაწმენდილი ტბები და სხვ. უმანის სასწავლებლის მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობის შესახებ ჩვენ წინედ გვქონდა ლაპარაკი, ამიტომ ეხლა მხოლოდ მოკლედ შევნიშნავთ. სასწავლებელს აქვს შესანიშნავი საფუტკრე, სააბრეშუმო, პლანტაციები თუთის ხეებისა, მისივე სანერგე, ქიმიური ლაბორატორია და სამეტეოროლოგიო სადგური. როდესაც ამ სასწავლებელში ახალგაზდა მეცადინეობას დაასრულებს, მერე ერთის წლის განმავლობაში პრაქტიკულად ჰმუშაობს იქვე, ან კერძო ოჯახში და ბოლოს მოწმობის მისაღებად სასწავლებლის მასწავლებელთა საბჭოს უნდა წარუდგინოს სიტყვიერი ან წერილობითი თხზულება ერთ-ერთ სამეურნეო საგნის შესახებ, რომლის მოწონების შემდეგ მოსწავლეს მოწმობა ეძლევა.

უმანის სასწავლებლის ნიმუშებს უჭირავს ერთი დიდი ოთახი სამეცნიერო განყოფილებისა. აქ ყოველ გვარი ნიმუშებია. მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის ნიმუშები ჩვენ უკვე ვახსენეთ. მებაღეობის შკაფში, სხვათა შორის, მოთავსებულია სოკოს ავადმყოფობის კოლლექცია. ეს ავადმყოფობა, როგორც ვიცით, დიდს ზიანს აძლევს ხეების ფოთლებს. იქვეა სხვა-და სხვა მავნე მწერები, დაზიანებული ფოთლები, დამყნის ბევრგვარი ნიმუშები. ეს ნიმუშები დიდად სასარგებლო სანახავია სოფლის მებაღესთვის, რომელიც მოკლებულია წესიერს მებაღეობის ცოდნას. ტყიდგან გამოტანილ ხეების ნიმუშებიც არის. აქვე მაგიდაზედ დალაგებულია პატარა ჰურჭელში ჩაყრილი ყოველ გვარი სათესლე. მარცვლეულობის ნიმუშები მეტად საინტერესოა. დიდად საყურადღებოა იმიერ კასპიის მხარის მცენარეების თესლების კოლლექცია. იმიერ-კასპიის მხრის მცენარეების გამოცდა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. როცა 1891 წელს რუსეთს საშინელი შიმშილი ეწვია გვალვა-სიცხისა და მოუსავლობის გამო, მოისურვეს გამოცდა იმ მცენარეებისა, რომლებიც თავისუფლად იტანს იმიერ-კასპიის მხრის მწვავე ჰავას. ამ გვარად აღიძრა სურვილი იმიერ-კასპიის მხრის მცენარეების დაბუნებებისა შიდა რუსეთში. უმანის სამეურნეო სასწავლე-

*) იხ. „ივერია“ № 222.

გეთიდგან, რომ ოზურგეთის ქალაქის თავი თავ. თავდგირიძე ამ ახლო ხანს პეტერბურგში მიდისო ქალაქის თვით-მართველობის მიერ აღძრულის ზოგიერთ საგნის საშუამდგომლოდ, მათ შორის ოზურგეთში პროგიმნაზიის დაარსების შესახებაო.

*** გაზეთ „Нов. обоз.“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სასულიერო სემინარიებში სავალდებულო იყოს სწავლება ყვავილის აცრისა.

*** ქ. სიღნაღი. წელს სიღნაღის მაზრაში მშვენიერი რთველი იყო ვენახებისა. ნამეტნავად სოფ. ახაშენსა, ველისციხესა, ჩუმლაყსა, გურჯაანსა, კარდანახსა, ანაგასა, ოზაანსა და პრასიანში. ყურძენსაც კარგი გამოსავალი ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდა, ჰხარობენ და სარგებლობენ ამ მოსავლიანობით ისინი, რომლებიც არც ჰხვნენ, არცა სთესენ, არც სხვლენ, არც ახვევენ ვაზს და ყველაფერი-კი საკმაო აქვთ ბეღელ-მარანში. ესენი გახლავან ის უდიერი ვაჭრები, რომლებიც ჰფიქრობენ დღე მუდამ, რა სარგებლით გავასესხოთ ფული, რომ სარგებელში ღვინოც საკმაო ავიღოთ და პურიცაო. სხვათა შორის, ერთს ამბავს მოგახსენებთ ჩვენის ვაჭრების ოინებისას. ერთმა მღვდელმა რომელიღაცა მედუქნისაგან ისესხა 40 მან. და შვიდის დღის შემდეგ გადაუხადა მოვალეს, ვალი, მაგრამ იცით, მკითხველო, რა გადაახდევინა სარგებლად? სწორედ კაკალი 7 მანათი გამოართვა მღვდელს და ახლა თქვენ იანგარიშეთ, რას გადაახდევინებდა მოვალეს, მთელი წლიწადი რომ დარჩენილიყო ფული. ამას ჯანი გავარდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ლამის ძველ დანგრეულ ეკკლესიებს მთლად „მეზობლიაანი“ დაეპატრონენ. სოფელ ველისციხეში ერთი პატარა ეკკლესიაა, ამბობენ მეფეების კარის ეკკლესია იყოვო, რომელსაც ველისციხელი ტერტერა დაჰპატრონებია და წმიდა სამლოცველოკი სამზარეულოდ გადაუქცევია“.

*** ქ. ქუთაისი. სწორედ დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში ვართ ყველა მცხოვრებნი ქუთაისის ნაწილის ესრედ წოდებულ „გოჭოურას“ ერთი ქუჩისა, რომელსაც ნამდვილი სახელი არა აქვს და ზოგი ზექადას, ზოგი გაბაშვილის ქუჩას, ზოგი ვარდის უბანს და ზოგი კიდევ ვინ იცის რას არ უწოდებს. ნუ თუ ქალაქის გამგეობას ისე გაუჭირდა, რომ ამ ერთ ქუჩას სახელი ვერ გამოუძებნა! ამ ჩვენის ქუჩის უსახელობის წყალობით ვერც შორიდგან გამოგზავნილი წერილი მოგვდის და ვერც სოფლიდგან ჩამოსულ კაცს უპოვნია ამ ქუჩაზედ მცხოვრები თვისი ნაცნობი. იმედია, ეხლა მაინც მიაქცევს ქალაქის გამგეობა ყურადღებას ამ გარემოებას და როგორმე გამოუძებნის სახელს ჩვენს საწყალ ქუჩას.

*** ხაშური. კვირას, 26 ოქტომბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტორის მოხელე ალექსანდრე კანდელაკი სტუმრად იყო ხაშურის მცხოვრებლებთან თავ. აბაშიძეებთან. საღამოზედ აბაშიძესა და კანდელაკს რაღაზედაც ლაპარაკი მოუვიდათ. ამ ლაპარაკის დროს თავადმა აბაშიძემ რევოლვერი დასცა კანდელაკს და იქვე მოჰკლა.

*** ხაშური. 26 ოქტომბერს, როდესაც საქონლის მატარებელი № 67 სადგურს მიუახლოვდა, უბილეთო მგზავრი გორის მაზრის სოფელ ხოვლეთის მცხოვრებელი 65 წლის მოხუცი გიორგი ბოკაშვილი მატარებლიდგან გადმოვარდა და მარჯვენა მკლავი მოიტეხა. შემდეგ ეს მოხუცი გულშეღონებული იპოვნეს და სადგურზედ მიიყვანეს. როდესაც გამოჰკითხეს, რად გადმოვარდი მატარებლიდგანაო, ბოკაშვილმა აი რა განაცხადა: კონდუქტორებმა ფული გამომართვეს და წამოყვანას დამპირდნენ, მაგრამ ხაშურის სადგურს, რომ მოვუახლოვდით, ჩამაცივდნენ, გადახტიო, მე-კი მოხუცებულმა კაცმა ვერ გავბედე გაქანებულის მატარებლიდგან გადმოხტომა, მაშინ მკრეს ხელი კონდუქტორებმა და ირს ჩამომაგდესო.

*** დ. ლანჩხუთი. არ იქნა არა ეშველა რა სადგურის ბაქანს. პატარა წვიმა მოვა თუ არა, ისეთი ტბა დადგება ხოლმე წვიმის წყლისა ბაქანზედ, რომ კაცს კოჭებამდის სწვდება. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს.

*** 25 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზედ კერის ბაღების იქით თავისს აგურხანაში მიდიოდა პრუსიის ქვეშევრდომი ედუარდ ზომმერი. გზაში სამი შეიარაღებული თათარი დაუხვდა, წაართვეს 500 მანათი ფული და ოქროს საათი და გზას გაუდგნენ.

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

(შემდეგი *)

რუსეთის მთავრობა სულ სხვაფრივ იქცეოდა. იგი თავს არა სჭრიდა, ურჩებსა და ავაზაკთ სარზედ არ აცვამდა, ქუსლებში არა სცემდა, თვალებს არა სთხრიდა, ხელებსა და ყურებს არა სჭრიდა... ჰუმანურად ჰმოქმედებდა. ამ გვარად, რუსეთის მთავრობა, კავკასიელის აზრით, სუსტი იყო, ხოლო გაჭიანურებული და აუჩქარებელი მიწერ-მოწერა, ჰუმანობა, ფორმალიზმი ეწინააღმდეგებოდა კავკასიის ერთა ჩვეულებას, იმათს აზრს, მართლ-მსაჯულებისა, ძალისა და უფლების მოვალეობათა შესახებს. ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ კავკასიაში რუსთა მთავრობამ ჯეროვანი წესი ვერ დაადგინა, ხალხი უფრო თავს აეშვა, გათახსირდა და თუმცა გარეგნად თითქოს მშვიდობიანობა ჰსუფევდა, მაგრამ ნამდვილად ცოტ-ცოტა მზადდებოდა ის, რამაც შემდეგში იჩინა თავი: ქურდობა, ავაზაკობა, ძარცვა, ძალ-მომრეობა და მრავალი სხვა უკანონობა ჩვეულებრივი ამბავი შეიქმნა. მთავარი შეცდომა-კი ის იყო, რომ ამ ქვეყნის გამგეთ არ იზრუნეს და თავისს დროზედ საჭირო ღონე არ იხმარეს კავკასიელთა საერთო შეიარაღების წინააღმდეგ. იმ ორგე-მარგე დროს, რომელიც დადგა საქართველოს რუსეთთან შეერთების ჟამს, ყოველთ უწინარეს კავკასიელთათვის იარაღი უნდა აეყარათ, რომ მდაბიო ხალხს ხელში იარაღი არა ჰქონოდა და ამით ადვილად არ შესძლებოდა მისი ბოროტად ხმარება.

შემდეგ იმისათვის უნდა ეზრუნათ, რომ ხალხი განვითარებულიყო და ცოდნა წერა-კითხვისა გავრცელებულიყო, მაგრამ ამ მხრივ არა გააკეთეს-რა, არა იზრუნეს-რა და საუკეთესო დრო დაჰკარგეს. ამასობაში ძარცვამ, ძალ-მომრეობამ, ავაზაკობამ ფესვი გაიდგა, იმატა. ვნახოთ ახლა, რა ღონე იღონეს ქვეყნის გამგეებმა ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ წარსულს გადავხედოთ, რომ შევიგნოთ, რა დაგვრჩენია გასაკეთებელი მომავალში.

ყოველივე ის ღონე და სახსარი, რომელსაც ჩვენი მთავრობა ჰხმარობდა ავაზაკობის წინააღმდეგ დღევანდლამდის, შეიძლება განაწილებულ იქმნას ამ გვარად: ა) საზოგადო, რომელიც მთელს რუსეთში ჰმოქმედებდა, და ბ) განსაკუთრებული, საკუთრივ კავკასიისათვის შემოღებული. პირველს ეკუთვნის სასჯელნი, აღნიშნულნი სასჯელთა დებულებაში ძარცვა-გლეჯისათვის და აგრეთვე სამხედროდადგენილებათა კრებულში. მეორე განსაკურებულ კანონად ჩაითვლება მხოლოდ კავკასიაში შემოღებული ღონისძიებანი. ა) ავაზაკთა დაფარვის წინაღმდეგ და ბ) ავაზაკების მოსასპობლად და ავაზაკთა აღმოსაჩენად. მთავრობის აზრით, ავაზაკთა დაფარვის წინააღმდეგ კარგი საშუალებანი იყო: ა) დამნაშავეთა და საეჭვოთა დასასჯელად: 1) ადმინისტრატიულის წესით გაგზავნა იმათი, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ავაზაკობენ, ან ავაზაკებს ხელს უმართავენო; 2) ციმბირში გაგზავნა სოფლის საზოგადოებათა განაჩენის ძალით: 3) აღკრძალვა იმ სოფლელთათვის ქალაქებში ცხოვრებისა, რომელზედაც ეჭვსა აღებდნენ, რომ ჰფარავენ ავაზაკებს, ნაქურდალს ჰყიდიანო და სხ. და 4) შესანიშნავ ავაზაკთა საქმისა მშვიდობიანობის დროს სამხედრო დროის სამართლისამებრ განსასჯელად სამხედრო ოლქის სასამართლოში გარდაცემა, და ბ) სხვათა უფლების შემლახველი საშუალებანი: 1) დაპატიმრება გავარდნილ ავაზაკთა ოჯახობისა; 2) იმ სოფლის საპატიო კაცთა დაპატიმრება, სადაც ავაზაკებმა იჩინეს თავი, მაგრამ არ იქმნენ აღმოჩენილნი და მკვიდრთა მიერ დასახელებულნი; 3) ეკზეკუცია; 4) საურთიერთო თავდებობა (დანაკარგის ზღვევა აღმოუჩენელ ავაზაკთა მაგივრად); 5) სოფლისაგან ამის უფლების ჩამორთმევა, რომ მამასახლისი ამოირჩიონ და ასეთის მამასახლისის მთავრობისაგან დანიშვნა; 6) სოფლის საზოგადოებაში იარაღის ტარების აღკრძალვა, და 7) იმ ადგილში კავკასიის მხრის მმართვა-გამგეობის დებულების მე-27 მუხ. შემოღება.

დასასრულ, დამოუკიდებელნი ღონისძიებანი, ავაზაკობის მოსასპობლადა და ავაზაკთა აღმოსაჩენად შემოღებულნი: 1) პოლიციის მოხელეთა გამრავლება; 2) სოფლის დარაჯთა შემწეობით ავაზაკთა შეპყრობა; 3) სოფლელთაგან დარაჯების დანიშვნა და იმათის შემწეობით ალაგმვა ავაზაკებისა; 4) თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ ავაზაკობაში შენიშნულთა დასახელება (ქუთაისის გუბერნიაში) და სხ. 5) დევნა ავაზაკებისა ჯარისა და ყაზახების შემწეობით; 6) ცალკე ოფიცერთა და მოხელეთა გაგზავნა ამ საქმის ასასრულებლად, და 7) სამღვდელოების მიერ დარიგება.

ამას გარდა, კავკასიის მთავრობას ამ საგნის შესახებ რამდენიმე პროე-

*) იხ. „ივერია“ 222.

---

ბლის გამოცდამ დაამტკიცა, რომ თითქმის ყველა იქაურ, ე. ი. იმიერკასპიის მხრის მცენარეების დაბუნებება შესაძლებელი ყოფილა აქეთ. იქაური მცენარეები ძლიერ მალე ითვისებენ აქაურს ჰავას, საზოგადოდ ყველა გარემოებას და ჰხარობს ისე, როგორც დანარჩენი ადგილობრივნი მცენარენი. წარმოდგენილ-გამოფენილი ნიმუშები ამტკიცებს უმანის სასწავლებელში გამეფებულ წესრიგს, სწავლა-შრომის წესიერებას, როგორც მოსწავლეებისა, აგრეთვე მასწავლებელთა მხრივ. გამოფენაზედ ნიმუშებით დასაბუთებულია მოსწავლეების ყოფა-მდგომარეობის, სწავლა-შრომის დიდად მოსაწონი და სანაქებო სურათი.

ბესსარაბიის მეღვინეობის სასწავლებლის დაარსების საგანი ის არის, რომ მცოდნე მევენახეები და მეღვინეები მოამზადოს. სასწავლებელს სახელმწიფო ხაზინა აძლევს ყოველ წლივ 29,850 მან. სასწავლებელს აქვს საკუთარი ვენახი, ხეხილის ბაღი, ბაღჩა, ღვინის სამოსწავლო სარდაფი, სპირტის სახდელი განყოფილება, ლაბორატორია და სხვ. ამ სასწავლებელში იღებენ გამოუცდელად იმათ, ვისაც რეალურ სასწავლებლის ხუთი კლასი დაუმთავრებია, ან ოთხ-კლასიანი სამიწათ-მოქმედო სასწავლებელი; ვისაც ხუთი კლასი გიმნაზიისა ან ოთხი სემინარიისა გაუთავებია, ამათ ეგზამენი უნდა გადაიხადონ ბატანიკისა, ფიზიკისა, ზოოლოგიისა და მინერალოგიისა. სასწავლებელში მარტო ქრისტიანებს იღებენ, დაარსებულია ოთხი სახელმწიფო სტიპენდია. ვინც სრულად დაამთავრებს კურს, ეძლევა მოწმობა, ამის შემდეგ სამის წლის პრაქტიკას როცა შეასრულებს, აძლევენ ღვინის მკეთებლის მოწმობას. ამ მოწმობით იღებენ სამიწათ მოქმედო სამინისტროს სახელმწიფო სამსახურში. სასწავლებლიდგან გამოგზავნილი ნიმუშები ნათლად ამტკიტებს ბესსარაბიის მეღვინეობის სასწავლებლის წესიერს მოქმედებას და დიდს სარგებლობას. ეს სასწავლებელი დაარსებულია კიშინევში 1894 წელს.

დიდად საინტერესოა ვაზის დამყნის ნიმუში. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში საზოგადოდ ფილოქსერა ვაზს ძირში უჩნდება და ფოთლებს არ ეკარება. ვიცით აგრეთვე, რომ ამერიკულს ვაზს ფილოქსერა არ ედება. აქაურ ვენახების დასაცავად აი რა გვარს წესს ჰხმარობენ. ამერიკულ ვაზის ნერგზედ ჰმყნიან ადგილობრივ სხვა-და-სხვა ვაზს; გამორკვევით დამტკიცებულია, რომ ასეთის წესით გაშენებული ვენახი ფილოქსერის მსხვერპლი არას დროს არ გახდება, ფილოქსერავე არ ეკარება. ამას ერთი და ორი გამოცდილება არ ამტკიცებს. აქვე გამოფენილია ვენახების ნიადაგის ქიმიურისა და მექანიკურის ანალიზების რუქა, ბესსარაბიის სასწავლებლის მასწავლებლის მიერ შედგენილი. როგორც სჩანს ბესსარაბიის ნიადაგი მდიდრად შეზავებული ყოფილა სხვა-და-სხვა მასალით. ცოტა დაშორებით არის ევროპის 31 საუკეთესო ვენახის ნიადაგის ნიმუშები, ადგილობრივ მასწავლებლის შედგენილი. თურმე საუკეთესო ვენახების ნიადაგი განუვითარებელი, შეუმუშავებელი ყოფილა, რომელიც შეადგენს მთების დანახვეტის შეზავებას. ბესსარაბიის ნიადაგი საუკეთესო ყოფილა ყველასთან შედარებით, თუმცა ვენახიკი ევროპის ბევრს ვენახებს ჩამოუვარდება ღირსებით. ცალკე დალაგებულია სასწავლებელში დამზადებული ღვინოებისა და სპირტის ნიმუშები, მეღვინეობისათვის ყოველ გვარი სახმარი იარაღები და სხვ. ბესსარაბიის მეღვინეობის სასწავლებელი ჯერ ახლად დაარსებულია, სულ სამიოდე წელიწადია მისი დაარსება, მაგრამ მაინც საკმაო სახელი გაითქვა და პატივის ცემა დაიმსახურა, როგორც მევენახე მეღვინეობის კარგად მცოდნეთა მომზადებულმა სასწავლებელმა.

დანარჩენ საშუალო სასწავლებლების ნიმუშების შესახებ არაფერს არ ვიტყვი, აქ შესანიშნავი და ყურადღების ღირსი მაინც და მაინც არაფერია.

სამეურნეო დაბალ სასწავლებლიდგან გამოგზავნილ ნივთებშიაც საინტერესო არაფერი მოიპოვება. ამ გვარ სასწავლებლების მოქმედება, პროგრამმა და შრომა ჩვენშიაც ყველამ იცის, რამდენიმე ასეთი დაბალი სასწავლებელნი ჩვენ ხომ დავიარსეთ.

რუსეთში დაბალი სამეურნეო სასწავლებელი სამ ნაწილად განიყოფება. 1) სახელმწიფო, 2) კერძო, 3) საგენერალ-გუბერნატოროს სკოლები. ამ სასწავლებლებში ასწავლიან მეურნეობა მეოჯახობას ადგილობრივ მოთხოვნილებასთან შეფარდებით. იღებენ სოფლის სასწავლებელში სწავლა მიღებულს ყმაწვილს, რომელიც ოთხ წლამდის სწავლობს ამ სასწავლებელში. ამ გვარი წესია სახელმწიფო სასწავლებლებში და კერძო, ერობათა ან სხვა საზოგადოების მიერ დაარსებულს სასწავლებლებში. ამათგან განსხვავდება საგენერალ-გუბერნატორო სკოლები, რომელიც დაარსებულია ყირგიზების ყმაწვილებისთვის. ამ უკანასკნელ სახის სკოლა ყველაზედ უფრო მდარეა, რადგან მეურნეობას სულ მცირე ადგილი აქვს დათმობილი. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ცნობებიდგანა სჩანს, რომ პირველ იანვარს 1897 წელს ყველა დაბალ სამეურნეო სასწავლებლებში ყოფილა 2.324 მოსწავლე.

როგორც ვხედავთ, მკითხველო, მთელს რუსეთში, სადაც ას ორმოცდა ათი მილლიონი მცხოვრებია, სულ 5000 მოსწავლე-მეურნე ყოფილა და ასიოდე სასწავლებელი. ასეთი მდგომარეობა დიდად სამწუხაროა, მაგრამ იმედი გვაქვს აწინდელი და მომავალი მიწათ-მოქმედების სამინისტროები ამ საგანს ყურადღებას მიაქცევენ, გამრავლდება სამეურნეო სასწავლებელთა რიცხვი, მოგვემატება ხალხში სასოფლო-მეურნეობის მცოდნენი და საქმეს გააუმჯობესებენ, თორემ ას მილლიონზე რამდენიმე ათასი მეურნე რასა იქმს...

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტი ჰქონდა შემუშავებული: ა) პოლიციის უფლების გაფართოვება წინასწარ გამოძიებისათვის სასამართლო ანუ მეძიებელ პოლიციის შემოღებით; ბ) ცვლილებათა შემოღება სისხლის სამართალში ისე, რომ მსაჯულთა შორის ერის წარმომადგენელნიც ერივნენ, და გ) შესანიშნავ საქმეთა სამხედრო სასამართლოში გარდაცემა.

(შემდეგი იქმნება)

# დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. შქმერი, (რაჭა).** შქმერში მცხოვრებნი სოლომონ დოშვილი, საუკარელა დოშვილი, იაკობ გვიმრაძე, იობა გაგნიძე და სინია გაგნიძე წავიდნენ სამუშაოდ თავიანთ საკუთარს ტყეში, ორს მათგანს ფეტვი ეთესა და სამიც შეშისათვის იყვნენ. როდესაც დატვირთეს თავიანთი ურმები, გაემგზავრნენ ოჯახისკენ და დაადგნენ სახელმწიფო გზას, ერთბაშად ტყიდგან გამოცვივდნენ ექვსი შეიარაღებული აჭარელი თათარი, დააყენეს ეს ხუთი კაცი და დაუყვირეს: „დადექით! ვერ გაგიშვებთ გაუძარცვავსო...“ ამ დროს წადგა წინ სოლომონ დოშვილი და უპასუხა: „როგორ თუ დაუძარცვავს ვერ გაგვიშვებთ, თქვენ ვინა ხართ, რომ გაძარცვას გვიპირებთო“!.. თათრებმა უპასუხეს: „ჩვენ გამოგზავნილნი ვართ, ვინც შეგვხვდება ამ ტყეში, უნდა გავძარცვოთო, და თუ არ დაგვნებდებით, მოკვლის ნებაცა გვაქვსო“. თათრები მისცვივდნენ, სტაცეს ხელი ხარებს, მაგრამ სოლომონი მაგაზედ დაუდგა, არ ანებებდა ხარებს, მაგრამ თათრებმა იშვრეს ხანჯლები და შეუბრალებლად დაუშინეს სატიდავ გლეხებს. ხანჯლებითაც ვერაფერს გახდნენ, თუმცა დასჭრეს რამდენიმე. ბოლოს თოფები მოიმარჯვეს და ესროლეს. სოლომონს ბარძაყში მოარტყეს, მიწას დაეცა და ჰყვიროდა: „მომკლეს, მიშველეთო“! მაგრამ სხვებსაც აღარ შეეძლოთ შველა, ზოგი მკლავში იყო დაჭრილი და ზოგი ბარძაყში. ერთს ტყვიამ შუბლზე გაჰკრა. საწყალი სოლომონი სახლამდის ძლივს მიიყვანეს ცოცხალი, და იქ დალია სული. სხვანიც მძიმედ არიან დაჭრილნი.

ეს ამბავი მაშინვე შეატყობინეს მაზრის უფროსის თ-დს დადიშქელიანს, რომლის განკარგულებით მკვლელები შეპყრობილ იქმნენ და დაპატიმრებულნი არიან ონში.

წყალობა ი. გვიმრაძე

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Рус. Вѣд.“-ში დაბეჭდილია წერილი პროფესორის ა. ა. ოსტროუმოვისა სოხუმის შესახებ.

ქ. სოხუმიო, ამბობს ეს პროფესორი, განირჩევა თავისის მშვენიერის თბილის ჰავით; ქარი აქ სრულებით არ იცის და ამით სოხუმი სჯობიან მთელს ევროპაში განთქმულს ქალაქ—ნიცცას. სოხუმი მშვენივრად მოუხდა იმ ავადმყოფებს, რომლებსაც აგერ ექვსი წელიწადია იქა ვგზავნი, მიუხედავად იმისა, რომ არც ქალაქია კარგად მოწყობილი, არც კერძო სახლები და არც სასტუმროები. საუკეთესო დრო სოხუმში სექტემბრიდგან დაწყებული ივნისამდეა; ამ ხნის განმავლობაში სოხუმში ციებ-ცხელება სრულებით არ იცის. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ წლიდან წლამდე ქალაქი იზრდება, ჭაობები შრება, ციებ-ცხელება სუსტდება; სულ ორჯერ-სამჯერ საკმარისია კაცმა ქინა-ქინა დალიოს, რომ ციებამ თავი დაანებოს. მაგრამ, ციება ხელს არ უშლის სოხუმში მყოფ ავადმყოფებს; უფრო ცუდი ის არის, რომ ქალაქი რიგიანად არ არის მოწყობილი. სასურველია, რომ გამოჩნდნენ კაცები და გამართონ კარგად მოწყობილი სასტუმრო, მაგრამ ფასები ძლიერ ძვირი არ უნდა იყოს, რადგანაც ძნელად მოსალოდნელია, რომ მდიდარმა კაცებმა ნიცცას უღალატონ და სოხუმში წავიდნენ, თუმცა ამ ქალაქის ჰაერი მეტად სასარგებლოა ფილტვებისა და ნერვების ავადმყოფთათვის.

# რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სიჭიროა ხაზინამ სამუდამო დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებას თევზეულობის მოშენება-წარმოებისასაო.

— მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ნება-რთვა მოსვლია მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან ცხენისა და ცხვრის გამოფენის გამართვისა ქ. მოსკოვში ამ შემოდგომას.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან საერო განათლების სამინისტროს მიერ დაეგზავნება ყველა სამოსწავლო ოლქის უწყებათ ახალი წესდება საერო სასწავლებლების სასწავლო საგნების შესახებ. ეს წესდება შეიმუშავა წელს საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ, სამოსწავლო და სასულიერო უწყებათა წარმომადგენელთაგან შემდგარმა. წესდებას საგნადა აქვს შეუთანხმოს სამინისტროს საერო სასწავლებელთა საგნების სწავლება სამრევლო სასწავლებლებისას.

— სატახტო ქალაქის ერთს სიცოცხლის დამზღვევს საზოგადოებას განზრახვა აქვს შემოიღოს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა და უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელთა სტუდენტების დაზღვევა.

— ფინანსთა სამინისტროს შეუწყნარებია ზოგიერთის საერობო დაწესებულების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ძალას ნუ იხმარებენ სახელმწიფო გარდასახადის შეკრების დროს იმ ადგილებში, სადაც წელს მცირე მოსავალი იყოვო.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლების რომელსამე კლასში შესასვლელად ეგზამენი გარდაიხადონ ებრაელთ და აგრეთვე იმ ქალთ, რომელთაც შინ უსწავლიათ და ჰსურთ დედათა გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ამა თუ იმ კლასში შესასვლელად ეგზამენის გარდახდა.

— კომისია, რომელიც უნდა დაარსდეს ფინანსთა სამინისტროსთან თამბაქოს წარმოების კანონდებულების განსახილველად, სხვათა შორის, განიხილავს სააქციზო გარდასახადის ზოგიერთ გამგეთა წინადადებას იმის შესახებ, რომ ნება არ მიეცეთ ებრაელთ იჯარით აიღონ მამულები თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად.

— საპატიმროების მთავარ-გამგეობას განზრახვა აქვს შემოიღოს მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენებში ფუტკრის მოვლა-მოშენების სწავლება და ამ აზრით ზოგიერთ ახალშენებთან უკვე გაჰმართა საფუტკრეები.

— ბავშვთა თავშესაფარ უწყებათა ცენტრალ გამგეობას განზრახვა აქვს დააარსოს სასოფლო სამეურნეო, შინა-მრეწველობისა და სახელოსნო საბავშვო თავშესაფარები იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილას. ამ საგნის საუკეთესოდ შესამუშავებლად გამგეობას მიუმართავს ყველა თავშესაფართა სამზრუნველოსათვის, რომ გვაცოდინეთ თქვენი აზრი ამის შესახებაო.

# უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** გაზ. „Berl. Loc. Anз.“ სწერენ ათინიდგან: „გუშინ, 27 ოქტომბერს, მთელი ათინა ისეთი არეულ დარეული იყო, რომ კაცს ეგონებოდა მტერი შემოსევია ქალაქს და ანადგურებსო. ნასადილევის ოთხს საათზედ ათინის უმთავრესი ქუჩა შავს ტანისამოსში გამოწყობილის კაცებით გაივსო. ისე იყო გატენილი ეს ქუჩა, რომ კაცს გავლა გაუჭირდებოდა. ყველა ესენი თავის ნებით ჯარში გასულნი მეომარნი იყვნენ, რომელთაც საბერძნეთის ჯართან ერთად მონაწილეობა მიიღეს ოსმალებთან ბრძოლის დროს. ეხლა დაბრუნდნენ ეს მეომარნი ბრძოლის ველიდგან და მთავრობამ არამც თუ მათ სახლში დასაბრუნებელი ფული არ მისცა, არამედ ბევრს მათგანს საჭმელ-სასმელიც არ გაუჩინა. მრავალი ულუკმა-პუროდ და უსახლ-კაროდ დარჩა. ამ ცივსა და ქარიანს ღამეებში უმეტესობა გარედ, ქუჩაში ათენებს. ამის შემდეგ არავის გაუკვირდება, რომ ამ საწყლებმა, რომელთაც არც მთავრობამ და არც მდიდარმა ათინელებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, ძალად მოიწადინეს იმისი მოპოვება, ურომლისოდაც მშივრები დაიხოცებოდნენ. ეს 3,000 გამწარებული და გაჯავრებული კაცი დაეცა დუქნებს და ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. შემდეგ, ბრბო ახალ იარმუკისაკენ გაემართა და გზა და გზა ყველაფერი გაიტაცა, რაც-კი წინ დახვდა. ბოლოს პოლიციელები და ჟანდარმებიც მოვიდნენ, მაგრამ რადგანაც ბრბომ, რასაც ეძებდა, ყველაფერი იშოვნა ე. ი. ტანისამოსი და საჭმელი, თვით აიღო ხელი ძარცვა გლეჯაზედ. პოლიციამ მაინც თხუთმეტი კაცი დააპატიმრა, დანარჩენთ ცალკე სახლი დაუთმეს, სადაც ყველანი დაბინავდნენ. რასაკვირველია, მთავრობა რო წინადვე ასე მოქცეულიყო, არც ეს უბედურება მოხდებოდა.

—

**კუნძული კუბა.** ჩვენ წინად არა ერთხელ და ორჯელ გვქონდა ლაპარაკი კუნძულ კუბის მცხოვრებელთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. გენერალმა ვეილერმა, რომელიც ამ კუნძულის მთავარ-მართებლად და მთავარ-სარდლად იყო, თავისის სასტიკისა ძ შეუბრალებელის პოლიტიკით დიდად დასცა ძირს ხალხის კეთილდღეობა. რადგანაც კუბის საქმეში, როგორც ჩვენცა გვქონდა მოხსენებული, შეერთებული შტატები ჩაერივნენ, ისპანიის მთავრობა იძულებული გახდა კუბის მცხოვრებელთა მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, გენერალი ვეილერი დაეთხოვნა თანამდებობიდგან და იმის ნაცვლად სხვა, სახელდობრ გენერალი ბლანკო, დაენიშნა კუბის მთავარ-მართებლად და იქაურის ჯარის მთავარ-სარდლად. როგორც გაზეთები იუწყებიან, გენერალი ბლანკო კიდეც მისულა კუბაში და საქმეს უკვე შესდგომია, შეუკრებია კუბის წარმომადგენლები და გამოუცხადებია იმათთვის, რომ მთავრობა მოწადინებულია გააუმჯობესოს კუბელების მდგომარეობა და თვით-მართველობა მოგანიჭოთო. მე იმედი მაქვს, უთქვამს ბლანკოს, რომ თვით მცხოვრებლები უარს არ იტყვიან და დამეხმარებიან ამ იმათთვის სასარგებლო საქმის განხორციელებაშიო. ბლანკოს სასახლეში მისვლისათანავე კუბის ავტონომისტთა დეპუტატი მისულა იმასთან და უთქვამ, დიდად მოხარული ვართ, რომ ასეთ კეთილსა და ჰუმანიურის აზრების მიმდევარს გენარალს ვღირსეთო. იმედი გვაქვს, რომ ამიერიდგან მაინც ჩვენი ქვეყანა კეთილ-დღეობას ეღირსება და ტანჯული მცხოვრებლები წყნარსა და მშვიდს მცხოვრებას მოიპოვებენო.

# დამაკვირდი

ოჯახი მარტო ერთს სულელს აიტანს, ხოლო თუ სულელი ორია, შჭვიანს გაცლის მეტი აღარა დაშთენია-რა.

ასსმანისა

* * *

თუ ბოროტთ სჯობიხარ, ეგ კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ კეთილი ხარ.

*

* * *

უნდა დაბერდეს ადამიანი, რომ სხვათ ნაკლი და ცოდვა ადვილად შეუნდოს. ჯერ არც ერთი ცოდვა არ შემხვედრია, რომ შესაფერს გარემოებაში მეც არ ჩავიდინო.

გიოტე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რეიმსის მუზეის ერთს კონსერვატორს გვარად გაბერს საფრანგეთში, მარნის დეპარტამენტში უპოვნია ძველის ძველი სარკეები. გამოჩენილმა საფრანგეთის ქიმიკოსმა ბერტელომ ეს სარკეები წარუდგინა საფრანგეთის აკადემიას. სარკეები მრგვალია, შუაგულში ამობერილი. ბარტელომ გასინჯა ეს სარკეები და დარწმუნდა, რომ მინას ტყვია ჰქონდა გადაკრული. ბარტელოს აზრით, ეს სარკეები ამშვენებდა უწინ ყუთების ხუფებს. ეხლანდელ ფრანგების წინაპრები თურმე სარკეებს სხვა-და-სხვა ნივთის გალამაზებისთვის ხმარობდნენ. ჰქონდათ სარკიანი თეფშები, ლამბაქები, ჭიქები. სულ უწინდელი ხალხი სარკეებს თითბრისას აკეთებდა. ასეთი სარკეები ჰქონდათ, სხვათა შორის, ებრაელებსაც. ეგვიპტელებიც აგრედვე თითბრის სარკეებსა ჰხმარობდნენ. საბერძნეთსა და რომში კალისა და თითბრის სარკეებსა ხმარობდნენ და მერე—ვერცხლისას. რამდენისამე წლის წინად გასინჯეს ძველებური სარკეები და ზოგი თითბრისა აღმოჩნდა, ზოგი ტყვიისა და ზოგიც ვერცხლისა. ისტორიკოსი პლიუნოსი სწერს, რომ მდიდარი რომაელები კაცის სიმაღლის სარკეებს აკეთებდნენ. იმპერატორის პომპეუსის დროს ერთმა რომაელმა პრაქსიტელმა დაიწყო ვერცხლის სარკეების კეთება. საუკეთესო სარკეები კეთდებოდა უწინ საბერძნეთში—კორინთში და იტალიაში—ბრუნდუზიუმში. ბარტელოს ძლიერ უკვირს, რომ უწინდელმა ხალხმა შუშის სარკეების კეთება არ იცოდა.

## ხაშმის სამონასტრო სკოლა

—

კვირას, 12 ოქტომბერს, აკურთხეს ხაშმის ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც არქიმანდრიტმა მამა ლეონიდმა დააარსა მისდამი რწმუნებულ იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ხარჯით. კურთხევაზედ დაესწრნენ: თვით გამგე და დამაარსებელი სკოლისა მამა ლეონიდი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მამა სერაფიმე, საეპარქიო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი, ტფილისის სამაზრო სკოლების ზედამხედველი ბლაღოჩინი მღვდელი მამა მარკოზ ტყემალაძე, სართიჭალის მღვდელი მამა კორ. ელიზბაროვი, ხაზინადარი მონასტრისა მღვდელ-მონაზონი მამა გერასიმე და მრავალი ხალხი. მწირველი ბრძანდებოდა თვით არქიმანდრიტი ლეონიდი. წირვაზედ ჰგალობდა ქართულად აქაური მედავითნეთა კრებული. წირვის შემდეგ ლიტანიით გაემგზავრნენ ახალის სკოლის შენობისაკენ, რომელიც მონასტრის გვერდზედ კოპწიად გამოიყურება. გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, აკურთხეს წყალი და მერე თვით შენობა. კურთხევის შემდეგ მამა ლეონიდმა მშვენიერი მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვის შემდეგ მასწავლებელმა, მამა ლეონიდის დავალებით, დაურიგა ყმაწვილებს ჯვრები და შემდეგ გამოაცხადა სია მიღებულ მოსწავლეებისა. როგორც სიიდგანა სჩანს მსურველ ქალ-ვაჟთა რიცხვი 90 აღემატებოდა თურმე, მაგრამ, რადგანაც ეს სკოლა მარტო ვაჟებისათვის არის დაარსებული, ქალებს უარი განეცხადათ. მიღებულ იქმნა ჯერ მხოლოდ 30 ყმაწვილი, რომელთა მშობლებმაც მასწავლებელს შემდეგი ხელ-წერილი მისცეს:

1) ყოველი საჭირო სასწავლო ნივთები და წიგნები, რასაც-კი მოითხოვს მასწავლებელი მოსწავლეებისათვის, მოვალენი ვართ ჩვენ ვუყიდოთ ჩვენს შვილებს.

2) სამს წლამდე ნება არა გვქონდეს ჩვენს ნებად გავიყვანოთ შვილები სკოლიდგან, სკოლის გამგეობის ნება-დაურთველად; უკლებად ვატაროთ სკოლაში, როგორც სასწავლო დღეებში, ისე კვირა-უქმეს ეკკლესიაში სასიარულოდ და არ მოვაცდინოთ ჩვენის შინაურ საოჯახო საქმეებისათვის.

3) შვილები უნდა ვატაროთ სკოლაში სუფთად და ფაქიზად ჩაცმულები, ერთფერის ტანისამოსით, რომელსაც თვით სკოლის გამგეობა განაწესებს.

4) შეგირდების მიღება, დათხოვნის წეს-რიგი სრული უფლებაა სკოლის გამგეობისა და ჩვენ არავითარი ხმა არა გვაქვს ამ საქმეში.

5) უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანმა დაარღვიოს რომელიმე ზემოხსენებული მუხლთაგანი, დამნაშავემ სკოლის სასარგებლოდ გარდაიხადოს ჯარიმად ხუთი მანეთი.

თვით სკოლის ფართო და ლაზათიანი შენობა, მშვენივრად მოწყობილი ყოველის სასწავლო და საკლასო ნივთ-ავეჯეულობით, მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდმა თავის მონასტრის ხარჯით გაჰმართა და მასწავლებელიც თავისის ხარჯით მოიწვია.

ჩვენის მხრითაც ვისურვებთ ამ ახალის ნორჩის სკოლის წარმატებას და ნაყოფიერებას. ვინატრით, რომ თვით ხაშმის საზოგადოებაც ღრმად ჩაუკვირდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას, შეიგნოს მისი ავან-ჩავანი, იცნოს მტერი და მოყვარე და ერთგულად მისცეს მხარი დიდად პატივცემულს, დაუცხრომელ მოღვაწეს, მამა ლეონიდის.

ნ. კ.

---

## გამოსადეგი ცნობა.

კარგი წებო ანუ გუმირაბიკი ასე უნდა გაკეთდეს. აიღეთ 12 ნაწილი შაქარი და დაადნეთ 36 ნაწილ წყალში. გაადუღეთ, კიდრე ადუღდებოდეს, მიუმატეთ 3 ნაწილი წყლით დაშლილი კირი და ასდგით, რომ კარგად დაწდეს. კირი თავზედ კარგს წებოს მოიყრის.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ოქტომბერი.

**კონსტანტინეპოლი.** ბოლგარიის ეპისკოპოსებს ბერათის მიცემის საქმე გადადებულ იქმნა ზავის შეკვრამდე.

**ლონდონი.** გაზ. „სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ კანეიდგან, რომ აკროტირში მეამბოხეთა ბანაკში გარდახდილ იქმნა წირვა-ლოცვა, რომელსაც დაესწრნენ საეროვნო კრების დეპუტატები და პრეზიდენტი. საბერძნეთის ბაირაღი აიღეს და კრიტის გამოჰფინესო.

**პარიჟი.** პალატა შემოსავალ-გასავლის განხილვას შეუდგა.

**კონსტანტინეპოლი.** გადაწყვეტილ იქმნა ზავის ხელშეკრულობის თოთხმეტი მუხლი, გადასაწყვეტია ოთხი კიდევ, ამ ოთხში ერთის გარდა იმედი აქვთო, რომ დანარჩენში მორიგდნენ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ურღმესს მადლობას ვუცხადებ პატივცემულ ტფილისის მოქალაქეს ესტატე ნიკოლოზის ძეს ჩხარტიშვილს, რომელიც არასოდეს არ ივიწყებს თავისს სამშობლო სოფელს ჯუმათს და აქაურ ნაშთს ჩვენის „ძველის დიდებისას“—ჯუმათის მამათა სავანეს, ყოველწლივ მოდის სალოცავად და ნივთიერად შემწეობას გვაძლევს მონასტრის გასამშვენიერებლად. წრეულსაც შემოსწირა საეკკლესიო დროშები ღირებული 50 მან. და სხაფრივადაც აქაურ გაჭირვებულ ქვრივ და ობოლთ, რომელთაც კი მიჰმართეს, შემწეობა აღმოუჩინა.

გამგებელი ჯუმათის მონასტრისა იღუმენი არსენი

---

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა** ქვემოთ დასახელებულ ბანკის მიერ გირაოდ მიღებულ **უძრავ მამულებისა** ბანკის წესდებით დადებულის გარდასახადის შემოუტანლობისა გამო, ბანკის წესდების მე-14 § თანახმად. ვაჭრობის გადადება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდასახადი შეტანილი იქმნება, რაც ბანკს ერგება.

ფრიდონოვისა, ნიკოლოოზ ფრიდონის ძისა: 6 დუქანი, მიწა ზომით სიგრძით 12 საჟ. $10^1/_2$ ვერ. და სიგანით—7 საჟ. ქალაქ ქუთაისში, ქარვა'ლისა და გიმნაზიის ქუჩებზედ.

ნათიძისა, დარია ილიას ასულისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ერთ-სართულიანი მიშენებული და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 299 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქალაქ გორში. (1—6.—1)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 30 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . - | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | › | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія. . | | 30 |

---

# ისყიდება

13,000 მანათად ბანკში დაგირავებული სახლი 3 სართულიანის ფლიგელითა და ბაღით. მიწა 218 ოთხ-კუთხი საჟენი. ანდრეევსკის ქუჩა № 4.

(3—188—2).

---

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა**

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(27)

---

**იძლევა ქირით**

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21. ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

---

**Съ 1-го ноября 1897 года**

БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ Г. КІЕВѢ

**еженедѣльная газета**

# „РОССІЯ и АЗІЯ“.

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 р.; съ доставкой и пересылкой 6 руб., за границу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой и пересылкой 4 руб., за границу 5 р.

Краткая программа изданія: 1) передовыя статьи, посвященныя еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Нелѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи въ Востокомъ. 6) Научно литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологія, переводы древне-восточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе спеціалисты и знатоки Азіи.

Подписка принимается отъ иногородныхъ по адресу: Кіевъ, Университетъ св. Владимира, Алексѣю Николаевичу Грену.

Редакторъ-Издатель: приватъ-доцентъ А. Н. ГРЭНЪ.

(4—ე.—4).

---

О ПОДПИСКѢ НА ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ „**жизнь и школа**“ СЪ ПРИЛОЖЕН. „**школьное обозрѣніе**“ (г. X.).

---

„ЖИЗНЬ и ШКОЛА„ имѣетъ цѣлью служить органомъ абъединенія русскихъ учителей и интересамъ лицъ, стоящихъ близко къ дѣлу образованія въ Россіи, и издается по слѣдующей программѣ:

1) Правительственныя узаконенія и распоряженія, касающіяся образованія въ Россіи.

2) Научно популярныя статьи (съ чертежами м рисунками).

3) Мелкіе повѣсти и разсказы (бытовые и историческіе), путешествія, очерки и др. подоб. произведенія.

4) Статьи по педагогикѣ, дидактикѣ, методикѣ, училищевѣденію, школьной гигіенѣ. Очерки по народному образованію въ Россіи и на Западѣ.

5) Русская печать о щкольномъ дѣлѣ. Мнѣнія и сужденія печати по педагогическимъ вопросамъ.

6) Библіотечное дѣло въ Россіи и за границей. Организація общественныхъ и школьныхъ библіотекъ и др. образовательныхъ учрежденій для народа.

7) Библіографія. Критика и рецензіи педагогическихъ сочиненій какъ русскихъ, такъ и иностранныхъ, разборъ учебниковъ и пособій. Обозрѣніе періодическихъ изданій какъ общихъ, такъ и спеціальныхъ: научныхъ, педагогическихъ и т. п.

8) Корреспонденціи. Современное обозрѣніе воспитанія и обученія у насъ и за границей.

9) Политическія извѣстія и Новости русской жизни. Обозрѣніе выдающихся событій въ Россіи и др государствахъ.

10) Смѣсь. Наблюденія и замѣтки изъ школьнаго міра. Педагогическія темы.

11) Справочный указатель. Справки и указанія по различнымъ практическимъ вопросамъ учебнаго дѣла и школьнаго быта.

12) Что намъ пи цутъ. Письма и сообщенія въ редакцію.

13) Книжный листокъ. Свѣдѣнія о вновь вышедшихъ книгахъ и указатель статей, встрѣчающихся въ повременныхъ изданіяхъ и заслуживающихъ вниманія какъ учителей, такъ и вообще образованнаго читателя.

14) Почтовой ящикъ. Отвѣты редекціи

15) Объявленія. Послѣднія печатаются на первой стр. по 50 к., на послѣдней по 10 к. Подписчики (годовые) печатаютъ *безплатно*.

При газетѣ издается, въ видѣ приложенія, особый сборникъ, подъ заглавіемъ „*Школьное Обозрѣніе*“, въ которомъ помѣщаются статьи, по объему, не удобныя для еженедѣльнаго изданія, а также портреты Августѣйшихъ Особъ и выдающихся дѣятелей въ сферѣ государственной дѣятельности, благотворительности и народнаго образоваія.

Подписная цѣна съ доставкой и перес. **5** руб., за полгода **3** руб., и за три мѣсяца **2** руб., для начальныхъ школъ и учителей **4** руб., за границу **6** руб., за годъ.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ полные комплекты газеты за 1893 г. и 1894 можно получать за 2 руб., 1895 и 1896 по 3 руб. за годъ. Библіотеки и безплатныя читальни пользуются особой уступкой. Подписчики, пріобрѣтающіе за всѣ годы пользуются, сверхъ того, уступкой 50%.

*Вышедшіе №№ „Школьнаго Обозрѣнія“ и „Жизнь и Шк.“ тек. г., по требованію, высылаются наложеннымъ платежемъ на счетъ конторы.*

Подписка принимается въ главной Конторѣ „ЖИЗНЬ и ШКОЛА“: С.-Петербургъ, Загородный пр., 34.

(3 ѵ.—3) Редакторъ-Издатель *М. Е. Виноградовъ.*

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.